ბრძანება:**ბ37. 3723075001**

თარიღი:**16/03/2023**

ბრძანება

,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - თათია ნიკოლაშვილის ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2023 წლის 02 მარტის Nბ37. 3723061001 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 66-ე მუხლის და ,,პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის N211 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეტანილი იქნას ცვლილება ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - თათია ნიკოლაშვილის ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2023 წლის 02 მარტის Nბ37.3723061001 ბრძანებაში და ბრძანების 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი - თათია ნიკოლაშვილი, მივლინებული იქნას საფრანგეთში, ქალაქ სტრასბურგში მიმდინარე წლის 21-23 მარტს გასამართ „ევროსაბჭოს ადგილობრივ და რეგიუნულ კონგრესის 44-ე სეზიაზე მონაწილეობის მისაღებად, 2023 წლის 18 მარტიდან და 24 მარტის ჩათვლით.“.

2. დაევალოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯების წინსწრებით ანაზღაურების უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ.#14).

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი